მხატვრულ სახეებზე მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე

მოამზადა მაია ინასარიძემ და მარინა ხუციშვილმა

როგორ ვასწავლოთ სიტყვის „დანახვა“?

მოსწავლეებში უნდა გავაღვიძოთ განსაკუთრებული ყურადღებით დაკვირვება სიტყვისადმი - კონტექსტში და მის გარეშე. ამისათვის მასწავლებელმა ხშირად უნდა „შეახვედროს“ მოწაფე სიტყვასთან. ეს იქნება ხან უცნობ სიტყვებზე მუშაობა ტექსტის გასაგებად, ხანაც - ზოგადად, გასაგებ, მაგრამ მოწაფეთათვის მოულოდნელი კუთხით დანახულ სიტყვებზე, რაც შეგვიყვანს პოეტურ კონტექსტში უფრო ღრმად, ვიდრე ეს ხდება სიტყვის ჩვეულებრივი გამოყენებისას.

სიტყვისადმი ემოციური დამოკიდებულების სტიმულირება შესაძლებელია იმგვარი დავალებებით, როგორებიცაა: განსაზღვრეთ:

- რა ფერისაა სიტყვა?
- რა მასალისაგან არის შექმნილი ან შეიძლება მისი შექმნა (შალი, ბროლი, სპილენძი, ვერცხლი..)?
- როგორი შრიფტს შეურჩევდი მას?
- რას ჰგავს სიტყვის ჟღერადობა, როგორ გახმოვანდება იგი უკეთესად?
- როგორი ხასიათისაა იგი, როგორი ტემპერამენტის? რომელი ცოცხალი არსების სახით წარმოიდგენ მას?
- როგორი სუნი, გემო აქვს სიტყვას?

შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს სიტყვის დახატვა, მისი წამღერება, ცეკვა, პანტომიმით მისი გამოსახვა.

როგორ ვასწავლოთ სიტყვის „გამოზრდა“?

ლიტერატურაში სიტყვისთვის ყურადღების მიქცევა ჩვეულებრივი საქმიანობა მოსწავლისთვის მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც ის ისწავლის იქცეს შემოქმედად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონტექსტის გარეშე მუშაობა სიტყვებზე, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეადარონ სხვა სიტყვებს (სინონიმურს და ანტონიმურს), შემდეგ კი შექმნან საკუთარი ტექსტი, რომელშიც ყველა სიტყვა კონტექსტში საკუთარ „როლს ითამაშებს“.

სიტყვაზე მუშაობის გაკვეთილი

მოწაფეებს დაფაზე ჩამოვუწერთ თემატურად ახლობელ რამდენიმე სიტყვას და შემდეგ მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით ვმსჯელობთ მათ სემანტიკასა და ფუნქციაზე ტექსტში:

მოგზაური

გამვლელი

ქვეითი

მეგზური

მაწანწალა

მოგზაური - „ხოლო იგი მოვიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თუისსა მას გუამსა“ (იოვანე საბანისძე -„აბო თბილელის წამება“).

გამვლელი - „იკრიბება თითო-ოროლა გამვლელი, ფანჯრებიდან იყურებიან, ალბათ უცნაური შესახედავები ვართ: 1) მზის საწინააღმდეგო სათვალიანი ათლეტი, პირმიქცეული აგურის კედელთან, ხელებაწეული, 2) მისი პალტოს სახელოს დაჯაჯგურებული, ამ შუა ზამთარში პერანგისამარა კაცი, 3) მე, მღელვარებისგან მთქნარებაატეხილი ახალგაზრდა და 4) პაწია კლიმი, ცალ მუხლზე ჩაცუცქული და აპარატმომარჯვებული - შუა ქუჩაში!“ (გ. დოჩანაშვილი - „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“)

ქვეითი - „(ბაქრაძემ) ცხენი ყორეზე მიაბა და ქვეითად ეახლა ბატონს“ (აკაკი წერეთელი - „ბაში-აჩუკი“);

„კახეთის გზატკეცილზე ორ ქვეითს ავტომობილი დაეჯახა“ (ambebi.ge).

მეგზური - წარმართულ მითოლოგიაში მეგზური სულები წინ უძღოდნენ გარდაცვლილის სულს ასტრალური სივრცეების გასასვლელებსა და ლაბირინთებში (ენციკლოპედიური ლექსიკონი).

მაწანწალა - „ოთახი მთლად მათხოვრული არ იყო, მაგრამ დიდი-დიდი მაწანწალათა გუნდის საცხოვრებლად გამომდგარიყო“ (ო’ ჰენრი - „მოგვთა საჩუქრები“).

მხატვრულ სახეებზე მუშაობა

მნიშვნელოვანია, რომ მოწაფეებმა გაიგონ ორი რამ:

- სიტყვა მხატვრულ ტექსტში ყოველთვის არ უტოლდება მის სალექსიკონო მნიშვნელობას;
- ლიტერატურა აზროვნებს სახეებით და საუბრობს სიმბოლური ენით.

მხატვრულ სახეებზე მუშაობისას შესაძლებელია შემდეგი აქტივობების გამოყენება:

I აქტივობა

- მასწავლებელი გაკვეთილზე კითხულობს ლექსს სათაურის დაუსახელებლად (ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიძის „ცელი კივის“), შემდეგ სთხოვს მოწაფეებს, დაასათაურონ იგი. შემოთავაზებული სათაურები იწერება დაფაზე;
- კლასში გაიმართება მსჯელობა, რატომ დაასათაურა ამათუ იმ მოსწავლემ ლექსი ამგვარად;
- შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ლექსის ავტორსა და სათაურს;
- მოწაფეები მსჯელობენ, ვისი ვარიანტი იყო უფრო მიახლოებული ავტორისეულთან და რატომ დაასათაურა პოეტმა ეს ლექსი ასე.

II აქტივობა

ავტორის მოუხსენიებლად მასწავლებელი დაფაზე წერს სტრიქონებს, რომლებშიც არის მხატვრული სახეები (მაგალითად: „ფეხაკრეფილი გადარბის წვიმა და ძლივს, ტაატით მიფრინავს კვამლი“);

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: როგორ ფიქრობთ, რა არის „ეს“? რას გვამცნობს პოეტი? პასუხები იწერება დაფაზე;

მასწავლებელი კითხულობს ლექსს სრულად, შემდეგ გადახაზავს არასწორ პასუხებს, ტოვებს მიახლოებულ ვარიანტებს.

რითია ეს სახე უჩვეულო?

როგორ განმარტავენ ხოლმე მეცნიერები რაიმე ტერმინს ან მოვლენას? რით განსხვავდება საგნის ან მოვლენის მეცნიერული დახასიათება/განმარტება პოეტურისაგან?

ნისლი - ჰაერში წვრილ-წვრილ წვეთებად დამდგარი ორთქლი, რომელიც თეთრ-მონაცრისფროდ ფარავს ყველაფერს და ჰაერს გამჭვირვალებას უკარგავს; ბურუსი, ჯანღი.

უნივერსალური ენციკლოპედია

„ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“.

ვაჟა-ფშაველა

პოეტური განმარტება (განსაზღვრა რაღაცის) გამოცანასავითაა, რომ იგი ლოგიკას არ ექვემდებარება, ასოციაციურია, მასში არაა სიზუსტე, სწორხაზოვნება, რაც ახასიათებს მეცნიერულ განმარტებას. პოეტური მეტყველება იმით განსხვავდება სამეცნიეროსგან, რომ იგი სახეობრივია. და რა არის სახე/ხატი?

III აქტივობა

რომელიმე ლექსის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მის აღსაქმელად და გასააზრებლად სვამს კითხვებს:

- რა ცხოვრებისეულ საფუძველს ეყრდნობა ეს სახეები?
- რას გამოხატავს პოეტი? რითია უჩვეულო სამყაროს მისეული აღქმა? როგორ უკავშირდება ცხოვრება და პოეტური სახე?

მოსწავლეები ამ კითხვებზე დაფიქრებით დაასკვნიან, რომ მხატვრული სახე ესაა მწერლის მიურ აღქმული სამყარო, საგნებისა და მოვლენების იმგვარად გამოხატვა, როგორც ხედავს მათ ავტორი.

IV აქტივობა

მხატვრული სახის ბუნების გასაგებად ვთავაზობთ ასეთ სამუშაოს:

- მასწავლებელი სვამს კითხვას: თუ მე ვიტყვი სიტყვას ხე, იქნება ეს სახე? რა არის საჭირო იმისათვის, რომ იგი იქცეს მხატვრულ სახედ? რა წამოდგენებს (შთაბეჭდილებებს) იწვევს თქვენში სიტყვათშეთანხმება "ზურმუხტისფერი ხე", შეიძლება თუ არა მას ვუწოდოთ სახე?

სიტყვა რომ იქცეს მხატვრულ სახედ, საჭიროა სხვა სიტყვასთან მისი შეხამება, ისეთთან, რომელიც გადმოგვცემს, როგორ ხედავს ავტორი საგანს/მოვლენას, რა დამოკიდებულება აქვს, რას გრძნობს. მნიშვნელოვანია, რომ ეს სიტყვათა შეთანხმება იყოს უჩვეულო. თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა იმისათვის, რომ ავტორის დამოკიდებულება სრულად გამოიხატოს, საჭიროა ასევე კონტექსტი.

V აქტივობა

მასწავლებელი (ასახსნელი ტექსტიდან) დაფაზე წერს სიტყვას (საგანს ან მოვლენას) და მოსწავლეებს სთხოვს, შეურჩიონ მას ეპითეტი, მეტაფორა, შეადარონ სხვა საგანს ან მოვლენას რაიმე ნიშნით; შერჩეული მხატვრული სახე უნდა გამოხატავდეს მოსწავლის დამოკიდებულებას საგნისა ან მოვლენისადმი, მისეულ ხატს უნდა წარმოადგენდეს.

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს, რომელშიც ამ საგანზე თუ მოვლენაზეა საუბარი.

შემდგომ მუშავდება კითხვარი, რომელიც ზოგადად ამ ტიპისაა:

- ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელი გამოხატავს ლექსის განწყობას?
- როგორ წაიკითხავდით ამ ლექსს: მშვიდად, წყნარად თუ ომახიანად, ნელა თუ ჩქარა? რატომ?
- რა სურათები წარმოგიდგებათ ამ ლექსის კითხვისას?
- რით განსხვავდება თითოეულ სტროფში წარმოდგენილი სივრცე?
- რატომ შეადარა პოეტმა ეს საგანი/მოვლენა მეორეს?
- როგორია თქვენი წარმოდგენაში ამ ლექსის ავტორი და მისთ.

VI აქტივობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ლექსს, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები (მხატვრული სახეები). მოსწავლეებს ევალებათ, ჩასვან ეს სიტყვები;
- განიხილება თითოეული შემოთავაზება.
- შემდეგ ურიდგებათ ტექსტი და ადარებენ თავიანთ სახეებსა და მწერლისეულს.

სავარჯიშო

აღადგინეთ ლექსში გამოტოვებული მხატვრული სახეები:

ატენის სიონი

დასაბამს ქვემოთ აქ ტყე ბუდობდა
პირქუში, როგორც .....
შეხიზნებოდა მთებს .....
გამოქვაბული და მყუდროება.

..... ნისლები მდორედ ხრჩოლავდნენ,
ყრუდ ჭრიალებდა ხევის ანჯამა.
ვარსკვლავნი ისე მოსჩანდნენ ღამე,
თითქოს ზეცა ....

დასაბამს ქვემოთ აქ ტყე ბუდობდა
პირქუში, როგორც ამაოება.
შეხიზნებოდა მთებს ქურდებივით
გამოქვბული და მყუდროება.

სქელი ნისლები მდორედ ხრჩოლავდნენ,
ყრუდ ჭრიალებდა ხევის ანჯამა.
ვარსკვლავნი ისე მოსჩანდნენ ღამე,
თითქოს ზეცა ჩრჩილს ამოეჭამა.

VII აქტივობა

- მასწავლებელი აძლევს წყვილებში სამუშაოდ: ერთმა მოწაფემ უნდა დაწეროს არსებითი სახელი, მეორემ - ზედსართავი, ერთმანეთს არ უჩვენებენ (ზედსართავები არ უნდა იყოს მარტივი - კარგი-ცუდის ტიპის). რასაკვირველია, ეს გამოვა უაზრო სიტყვათშეთანხმება.
- შემდეგი თხოვნაა - ჩასვან ეს სიტყვათშეთანხმება წინადადებაში ან პატარა ტექსტში ისე, რომ გაამართლონ მისი არსებობა, როგორც პოეტური სახისა.
- მაგალითები განიხილება კლასში.

ამგვარი დავალება არყევს გონებაში ჩაჭედილ, დამახსოვრებულ სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას, აღვიძებს ფანტაზიას და ავითარებს ენობრივ დაკვირვებულობას.

პოეზია არაა მხოლოდ პოეტური სახეების კრებული/გროვა. მნიშვნელოვანია, როგორ არის ისინი დაკავშირებული ერთმანეთთან მთელ ლექსში, როგორაა „მომზადებული“ ესა თუ ის მეტაფორა, ბოლოს და ბოლოს მნიშვნელოვანია ლექსის არქიტექტურა, მისი კომპოზიცია. რა მხატვრული სახეებია, რა ფუნქციით გამოიყენა ისინი მწერალმა, რა აისახა ლექსში, როგორი განწყობილებაა, როგორი გრძნობა ჩნდება?

სავარჯიშო

შევთხზათ ოთხტაეპიანი ლექსი მწერალზე/პერსონაჟზე (ჩამოთვლილიდან აირჩიეთ ერთ-ერთი):

- სოფიო (მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“).
- იოსები (კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი იოსები“).
- თავადი ვიტგენშტეინი (რევაზ ინანიშვილის „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე“).
- მარგო (მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“).
- შორენა / მეფე გიორგი (კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“).

გეგმა

1. ვინ ვარ მე? (სახელდება, პერსონაჟის ვინაობა);

2. როგორია ჩემი გამოცდილება/ცხოვრება? (ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი პერსონაჟის გამოცდილებიდან, ცხოვრებიდან);

3. რას ვგრძნობდი, როდესაც .... (სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობის / კონფლიქტის დროს);

4. რა არის ჩემი მთავარი სათქმელი? (შეჯამება, განზოგადება, სხვ.).

შენიშვნა: *მასალა აღებულია წიგნიდან „ქართული ენა და ლიტერატურა“ (2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი მასწავლებლებისათვის“, 2014.*

ნიმუში

1. მე - მარიტა,
2. ვირზე უკულმა შესმული, ტალახით მოსვრილი,
3. ვერაფერს ვგრძნობდი, თითქოს გავქვავდი.
4. ვაი, რა სასტიკია (/უსამართლოა) ბრბოს სამართალი.

სავარჯიშო - ვქმნით მეტაფორას

დავალება: მოცემული სქემის საფუძველზე შექმენით მიძღვნითი ხასიათის ლექსი.

ლექსი შეიძლება ეძღვნებოდეს (აირჩიეთ თქვენთვის სასურველი):

- მარიტას (გიორგი ლეონიძის „მარიტა“);
- კრუს ხიმენესს (ოთარ ჭილაძის „ადამიანი გაზეთის სვეტში“);
- ტიციან ტაბიძეს;
- ნიკოლოზ ბარათაშვილს.

1-ლი სტრ. - ვის ეძღვნება? (ვინაობა/პირის სახელი მიცემით ბრუნვაში)

მე-2 სტრ. - წელიწადის რომელი დრო (თვე) იქნებოდა ეს პიროვნება? (ზაფხული, ივნისი, ნოემბერი, სხვ.)

მე-3 სტრ. - როგორი ამინდი იქნებოდა იგი? (ჭექა-ქუხილი, ჟუჟუნა წვიმა, სხვ.)

მე-4 სტრ. - დღე-ღამის რომელი მონაკვეთი იქნებოდა ეს პიროვნება? (დაღლილი საღამო, ხალისიანი დილა, ძმვიდი შუადღე...)

მე-5 სტრ. - როგორი ნაგებობა იქნებოდა ეს პირი? (შეუვალი ციხე-სიმაგრე, მყუდრო სახლი, მოჩუქურთმებული აივანი....)

მე-6 სტრ. - რა ნივთი (ვარ. სამოსი) იქნებოდა იგი? (სანადიმო მაგიდა, ბასრი ხანჯალი, თბილი მოსასხამი, მტკიცე აბჯარი, მფარველი ნაბადი...)

მე-7 სტრ. - რა სახის სასმელი ან საჭმელი იქნებოდა იგი? (ანკარა წყაროს წყალი, სურნელოვანი პური, შუშხუნა ღვინო...)

მე-8 სტრ. – დასკვნითი ტაეპი (სურვილისამებრ).

1. ..... -ს
2. შენ ხარ .... (რომელიც)....
3. (შენ ხარ)..... (რომელიც)....
4. (შენ ხარ).... (რომელიც)....
5. (შენ ხარ) .... (რომელიც)....
6. (შენ ხარ).... (რომელიც)....
7. (შენ ხარ)... (რომელიც)....
8. (შეჯამება, დასკვნა, ემოცია, სხვ.).

შენიშვნა: *მასალა აღებულია წიგნიდან „ქართული ენა და ლიტერატურა“ (2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი მასწავლებლებისათვის“, 2014.*

ნიმუში

1. სულხან-საბა ორბელიანს
2. შენ ხარ მშვიდი შემოდგომა,
3. ნათელი, მზიანი დღის წყნარი საღამო;
5. ჭრიალა ხის კარი, რომელიც ბაღში გადის,
6. ძველებური ზარდახშა, რომელიც ყველაფერს დაიტევს;
7. ანკარა წყაროს წყალი, რომელიც ყველას მოუკლავს წყურვილს;
8. შენი ტყუილიც კი სიმართლეა, სულხან-საბა.

გისურვებთ წარმატებას

მადლობა